ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №8161106

ნომერი: AR11169343

თარიღი : 12.11.2026

გაცემის თარიღი : 13.11.2026

გაცნობის თარიღი : 13.11.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ო. კაპანაძე , N 4;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მილენა ცუცქირიძე პ/ნ 01001090860
- საქართველო, ქალაქი თბილისი, გლდანის მასივი, VI მიკრო/რაიონი, კორპუსი 7, ბინა 36

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 11 ნოემბრის №8157054 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026

წლის 12 ნოემბერს №AR11169343 განცხადებით მომართა მილენა ცუცქირიძემ და მოითხოვა სამსახურის 2026 წლის 11 ნოემბრის №8157054 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2026 წლის 11 ნოემბრის №8157054 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ქალაქი თბილისი, ქუჩა ო. კაპანაძე, N4-ში, არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ:№01.16.03.058.078) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

განმცხადებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 11 ნოემბრის №8157054 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ: საერთო ფართობად 8001.5 კვ.მ-ის ნაცვლად 7123.1კვ.მ-ის, საცხოვრებელ ფართობად 3752.7კვ.მ-ის ნაცვლად 3811.4კვ.მ-ის, კომერციულ ფართობად 598.2 კვ.მ-ის ნაცვლად 260.5 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 724.9 კვ.მ-ის ნაცვლად 775.7კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 1070.7 კვ.მ-ის ნაცვლად 1029.6 კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 1658.7 კვ.მ-ის ნაცვლად 1061.2 კვ.მ-ის, სასაწყობე ფართობად 185.9კვ.მ-ის ნაცვლად 104.8კვ.მ-ის; დამხმარე ფართობად 10.4 კვ.მ-ის ნაცვლად 79.9 კვ.მ-ის დაფიქსირებას. ასევე, წარმოდგენილია -4.00 ნიშნულის გეგმა და ითხოვს აღნიშნული გეგმის ჩანაცვლებას.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი -4.00 ნიშნულის გეგმა შეადარა ამავე ნიშნულის შეთანხმებულ გეგმას და დაადგინა, რომ წარმოდგენილ გეგმაზე ხდება მხოლოდ ფართობების დაზუსტება მეათედების სიზუსტით. შესაბამისად, სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია 2026 წლის 12 ნოემბერს №AR11169343 განცხადების ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი -4.00 ნიშნულის გეგმის ჩანაცვლება და სამსახურის 2026 წლის 11 ნოემბრის №8157054 ბრძანებაში ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლების გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 11 ნოემბრის №8157054 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო ფართობად დაფიქსირდეს 7123.1კვ.მ., საცხოვრებელ ფართობად 3811.4კვ.მ., კომერციულ ფართობად 260.5 კვ.მ., საზაფხულო ფართობად 775.7კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 1029.6 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად 1061.2 კვ.მ., სასაწყობე ფართობად 104.8კვ.მ., დამხმარე ფართობად 79.9 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 11 ნოემბრის №8157054 ბრძანებით შეთანხმებული -4.00 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდეს განმცხადებლის მიერ 2026 წლის 12 ნოემბერს №AR11169343 განცხადების ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 11 ნოემბრის №8157054 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 11 ნოემბრის №8157054 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.